



გამომცემლობა შემცნება და გამომცემლობა კალიტრა L

წარმოგიდგენთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილ სახელმძღვანელო-კომპლექტს სახვითსა და გამოყენებით ხელოვნებაში (I-IV და V-VI კლასები)

ხელოვნება და შემოქმედება

I, II, III კლასის სახელმძღვანელოების ავტორები:
ჯგუფის ხელმძღვანელი დარეჯან (ჯანა) კახიანი,
თამარ კიკნაძე, ლია გორგაძე, მედეა ჩუბინიშვილი.
IV, V, VI კლასის სახელმძღვანელოების ავტორები:
ჯგუფის ხელმძღვანელი დარეჯან (ჯანა) კახიანი,
თამარ კიკნაძე, ქეთევან დავლიანიძე.



სახელმძღვანელო-კომპლექტის I, II, III და IV კლასებში მოსწავლეები ეცნობიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლებს. სწავლობენ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგს, ეცნობიან ხელოვნების ნიმუშებს, გარკვეული ნარმოდგენები ექმნებათ ფერზე, ფორმაზე, კომპოზიციის და სივრცის ელემენტებზე, მოსწავლეებში ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივებას და გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სახელმძღვანელო-კომპლექტი ხელოვნება და შემოქმედება უვითარებს ბავშვებს ფანტაზიას, თვალსაწიერს, მხატვრულ გემოვნებას და ესთეტიკური ტკბობის უნარს. აგრეთვე ზოგად უნარებს, როგორცაა დაკვირვება, მეხსიერება, წარმოსახვა, ყურადღება, ნებისყოფა, სამეტყველო ლექსიკის გამდიდრება, თანამშრომლობის უნარი.

სასწავლო კურსი მიზნად არ უნდა ისახავდეს პროფესიონალი მხატვრის მომზადებას. უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, განვაავითაროთ ბავშვის შემეცნების, შემოქმედებისა და მოვლენის არსის გაგების უნარი.

ყოველი გაკვეთილი ბავშვისთვის არის სახალისო და სასიამოვნო. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ აღიქვამს, ეცნობა, სწავლობს მშვენიერების აღქმას როგორც ხელოვნებაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წ. კახიანი, თ. კიქნაძე, ძ. ღვინია

ხელოვნება და შემოქმედება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მოსწავლის სახელმძღვანელო



წ. კახიანი, თ. კიქნაძე, ძ. ღვინია

ხელოვნება და შემოქმედება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მოსწავლის სახელმძღვანელო



წ. კახიანი, თ. კიქნაძე, ძ. ღვინია

ხელოვნება და შემოქმედება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მოსწავლის სახელმძღვანელო



წ. კახიანი, თ. კიქნაძე, ძ. ღვინია

ხელოვნება და შემოქმედება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მოსწავლის სახელმძღვანელო



V და VI კლასებში სახელმძღვანელო ეყრდნობა და აგრძელებს წინა წლების (I-IV კლ) სახელმძღვანელოს პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სახელმძღვანელო მთლიანად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მოთხოვნებს, ითვალისწინებს ამ ასაკის მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. სახელმძღვანელო-კომპლექტი ხელს უწყობს, ერთის მხრივ, ამ საგნის სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მხატვრულ ნაწარმოებში მშვენიერების დანახვისა და აღქმის უნარის განვითარებას და, მეორეს მხრივ, ისეთი ზოგადი უნარების, როგორცაა: დაკვირვება, ყურადღება, მსჯელობა, ანალიზი, ლექსიკური მარაგის გამდიდრება და ზოგადი განათლება. მოსწავლეებს უმუშავდებათ დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მუშაობის, თანამშრომლობის, სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების, ინტერესის, ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობის, საკუთარი და სხვა ნამუშევრის შეფასების უნარები.

სახელმძღვანელოებში ნაჩვენებია ის გრძელი და საინტერესო გზა, რომელიც განვლო ხელოვნებამ ისტორიის მანძილზე, პირველყოფილი ადამიანის კედლის (მღვიმეების) მხატვრობიდან თანამედროვე ხელოვნებამდე.

ყოველი ეპოქის ხელოვნების შესწავლისას მოსწავლეები ეცნობიან ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს – მეცნიერების მიღწევებს, მუსიკალურ და ლიტერატურულ ნიმუშებს, ვარცხნილობას, ჩაცმულობას. აგრეთვე, ქვეყნების შესახებ მოკლე ისტორიულ და გეოგრაფიულ ცნობებს. ავტორების მიზანი არ არის პროფესიონალი მხატვრის, მოქანდაკის ან არქიტექტორის აღზრდა, მაგრამ დარწმუნებულები არიან, რომ ყველას შეუძლია განივითაროს მშვენიერების დანახვის და აღქმის უნარი. ამისთვის აუცილებელია გარკვეული ცოდნის მიღება, უნარჩვევების გამომუშავება და გემოვნების ჩამოყალიბება. სწორედ ამას შეუწყობს ხელს ჩვენი სახელმძღვანელო-კომპლექტი ხელოვნება და შემოქმედება (I-IV და V-VI კლასებისთვის).

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:



995 599 55 05 54 /ლია ზალვაშვილი/ • 995 32 260 23 15 /გამომცემლობა/



info@shemetsneba.ge • www.shemetsneba.ge



<https://www.facebook.com/shemetsneba.ge/>